



საკონკურსო თემატიკა:
ამომრჩეველთა განათლება საარჩევნო და სამოქალაქო
კულტურის განვითარებისათვის

“ა, რჩევანი”

Post-სლონი

პროექტის განხორციელების პერიოდი: 25 სექტემბერი - 25 ნოემბერი, 2019

პროექტის მიზანი:

გურიის რეგიონში დემოკრატიული არჩევნების მიმართ მოქალაქეების, მათ შორის ახალგაზრდების სამოქალაქო პასუხისმგებლობის სტიმულირება საგანმანათლებლო პროგრამის, ინფორმაციის მიწოდების; ანგარიშვალდებულების, მონიტორინგის პროცედურების ცოდნის გაღრმავების და ამ პროცესებში ჩართვისთვის საჭირო უნარ-ჩვევების შეძენის მეშვეობით


პროექტის განხორციელების არეალი:

გურია - ჩოხატარური, ლანჩხუთი

პროექტის ფარგლებში გამართულ ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო სულ 130 ადამიანმა; აქედან ტრენინგის სამდღიანი კურსი გაიარა 106-მა ბენეფიციარმა; დანარჩენი 24 ადამიანი ტრენინგის ერთ ან ორ დღეს დაესწრო

სულ, ტრენინგების ხუთივე ჯგუფის სამივე დღის (კონტრიბუციის ჩათვლით) მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 370-მა ადამიანმა.

სამიზნე ჯგუფები შედგებოდა ახალგაზრდებისა და ქალებისგან. ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო 3-მა შშმ პირმა. ტრენინგის მონაწილეებიდან, 101 იყო ქალი, 29- მამაკაცი .



პროექტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მიმოხილვა

ტრენინგები ჩატარდა 5 ჯგუფად; აქედან, 4- ჩოხატაურის სოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობის დარბაზში, ხოლო 1 - ლანჩხუთის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობის დარბაზში. თითოეულ ჯგუფში, 2-დღიან სწავლებას უძღვებოდნენ ორგანიზაციის ტრენერები, ხოლო მესამე დღეს, კონტრიბუციის სახით, საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

I ჯგუფი, ჩოხატაური: 28.10-
29.10-30.10

II ჯგუფი, ჩოხატაური: 31.10-
01.11-04.11

III ჯგუფი, ჩოხატაური: 05.11-
06.11-07.11



პროექტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მიმოხილვა :

IV ჯგუფი, ჩოხატაური: 11.11- 12.11- 13.11;



V ჯგუფი, ლანჩხუთი: 18.11-19.11-20.11.



პროექტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მიმოხილვა

შემდეგი აქტივობა: პროექტის ფარგლებში მომზადდა და დაიბეჭდა 2 საგაზეთო ჩანართი (პირველი გვერდის PDF)

პირველი ჩანართი:14.10.19



მეორე ჩანართი:21.10.19



პროექტის ეფექტი (მიღწეული შედეგები):

ტრენინგზე დასწრების მსურველთა რაოდენობამ და აქტიურობამ, დაგვარწმუნა, რომ მოქალაქეებს სურთ ინფორმაციის, ცოდნის მიღება, განსაკუთრებით ჩართულობის მექანიზმების შესახებ. ამას მოწმობს პრაქტიკული სამუშაოების მიმართ დიდი ინტერესიც და კომუნიკაციის დაგეგმვა იქვე, ტრენინგის პროცესში ადვოკატირების მაგალითების განხილვისას.

ტრენინგების ციკლის ყველაზე აქტიურ მონაწილეებს დღემდე არ შეუწყვეტიათ კომუნიკაცია ორგანიზაციასთან; ამ კუთხით, მნიშვნელოვანია ისიც, რომ შემდგომი აქტივობების დაგეგმვისას, ჩვენ გვაქვს ძალიან მნიშვნელოვანი საკონტაქტო ბაზა.

ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ ტრენინგის მონაწილეებს დაურიგდათ შეფასებითი კითხვარები; შევსებული კითხვარების შედეგები მოწმობს რომ მონაწილეებს მოეწონათ ტრენინგის შინაარსი, ტრენინგების კვალიფიკაცია, განხილული საკითხები; რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მათთვის საინტერესო და სასარგებლო იყო მიღებული ინფორმაცია. რამდენიმე მონაწილემ სხვადასხვა ჯგუფებში დააფიქსირა, რომ კარგი იქნება, თუ ამ სასწავლო მოდულების გაცნობა უფრო ფართო აუდიტორიისთვის მოხდება - ისინი თვლიან, რომ ანალოგიურ სასწავლო-საინფორმაციო შეხვედრების უზრუნველყოფაზე ადგილობრივმა თვითმმართველობამაც უნდა იზრუნოს.

მადლობთ ყურადღებისთვის!